სტატისტიკური ინფორმაცია

სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ 2012 წლის მონაცემებით:

2012 წლის 01 იანვრიდან 2013 წლის 01 იანვრამდე პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განსახილველად შემოსული იქნა 844 საჩივარი (განცხადება, წერილი, დამატებითი მასალები), ხოლო 61 შემოსული იყო 2011 წელს – ანუ, სულ 905.

აღნიშნული განცხადებების (საჩივრების, წერილების) შესწავლის შედეგად:

1. 201 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა – 22.2%;
2. 15 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით – 1.7%;
3. 11 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა–განმარტება – 1.2%, (მათ შორის 3 იყო 2011 წლის; აქედან 2 დისციპლინურ საქმეზე მიმდინარეობს დისციპლინური გამოკვლევა, 2 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა, 3 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეს მიემართა კერძო სარეკომენდაციო ბარათით, ხოლო 4 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში);
4. სხვა საჩივრებთან (განცხადებებთან, წერილებთან) გაერთიანდა იგივე საკითხებზე განმეორებით შემოსული, ასევე გადაიგზავნა ქვემდებარეობით, დაერთო საქმეებს დამატებით შემოსული და გამოთხოვილი მასალები და მოქალაქეებს ეცნობათ პასუხი ერთობლიობაში – 620 საჩივარზე (განცხადებაზე, წერილზე) – 68.5 %;
5. 58 საჩივრის (განცხადების, წერილის) საფუძველზე მიმდინარეობს დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება – 6.4%.

შენიშვნა: 2013 წლის 01 იანვრამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შემოსულ იქნა სულ – 844 საჩივარი. აღნიშნული მოიცავს როგორც დისციპლინურ საჩივრებს, ასევე მასთან დაკავშირებით შემოსულ სხვა სახის განცხადებებს, დამატებით მასალებსა და წერილებს.